იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 20 (180)

ოქტომბერი,

1967 წელი

საქმესის ცნობა

ავტომატური სადგური „ვენერა-4“ შევიდა პლანეტა ვენერას ატმოსფეროში და დაჯდა მის გედაპირზე

1967 წლის 18 ოქტომბერს საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ვენერა-4“-მა, რომელმაც გაიარა დაახლოებით 350 მილიონი კილომეტრი მანძილი, მიაღწია პლანეტა ვენერას.

4 თვის მანძილზე სადგურმა საშუალება მოგვცა მიგვეღო ახალი მრავალი მონაცემი კოსმოსური სივრცის ფიზიკურ თვისებათა შესახებ.

ვენერა პლანეტასთან მიფრენისას სადგურმა დააფიქსირა, რომ არ არის შესამჩნევი მაგნიტური ველი და რადიაციული სარტყელები პლანეტისა. აღმოჩენილია სუსტი წყალბადის გვირგვინი.

დღეს, 1967 წლის 18 ოქტომბერს, 7 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ვენერა-4“ მეორე კოსმოსური სიჩქარით შევიდა ვენერას ატმოსფეროში, და სადგურს მოსცილდა დასაშვები აპარატი — სამეცნიერო ლაბორატორია. ამ აპარატის აეროდინამიკური დამუხრუჭების შემდეგ პლანეტის ატმოსფეროში ავტომატურად ამუშავდა სპეციალური საპარაშუტო სისტემა და განაგრძო ნელ-ნელა დაშვება ვენერას ატმოსფეროში.

აპარატის სამეცნიერო ხელსაწყოები აწარმოებდნენ განუწყვეტელ მყარ გაზომვებსა და დედამიწაზე ვენერას ატმოსფეროს პარამეტრების გადმოცემას საათნახევრის განმავლობაში 25 კილომეტრ მანძილზე. აპარატი დაეშვა პლანეტის ზედაპირზე და მიიტანა მეორე ალამი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ღერბი.


წარმოებდა ვენერას ატმოსფეროს წნევის, სიმკვრივის, ტემპერატურისა და ქიმიური შედგენილობის გაზომვა.

გაზომვათა უბნის მანძილზე ატმოსფეროს ტემპერატურა იცვლებოდა 40 გრადუსიდან 280 გრადუსამდე ცელსიუსით. ატმოსფერული წნევა — 1 ატმოსფეროდან დაახლოებით 15 ატმოსფერომდე. გაზომვებმა ცხადყო, რომ ვენერას ატმოსფერო თითქმის მთლიანად შედგება ნახშირჟანგა გაზისაგან; ჟანგბადი და წყლის ორთქლი დაახლოებით ერთნახევარი პროცენტია; აზოტის შესამჩნევი კვალი არ აღმოჩნდა.

მეცნიერულ გაზომვათა მონაცემები მუშავდება და გამოქვეყნდება.

ამრიგად, საბჭოთა ავტომატური სადგური „ვენერა-4“ მსოფლიოში პირველად დაეშვა ნელ-ნელა და დაჯდა პლანეტის ზედაპირზე და საშუალება მოგვცა მიგვეღო უძვირფასესი მონაცემები პლანეტა ვენერას შესახებ.

მეცნიერული კვლევა, რომელიც შეასრულა საბჭოთა ავტომატურმა საპლანეტთაშორისო სადგურმა „ვენერა-4“-მა, — საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო გამარჯვებაა, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მზის სისტემის პლანეტების კვლევაში.



თბილისი, საქართველოს მთავრობის სასახლე.



განახლებული და აღორძინებული

გიორგი ნატროშვილი

ადამიანთა მოდგმის ისტორია — ტანჯვის, წამებისა და ბრძოლის მატიანეა. თაობა თაობას მოსდევდა. მონათმფლობელი — ფეოდალმა შეცვალა, ფეოდალი — ბურჟუამ. მიდიოდნენ ათეული წლები, საუკუნეები და ადამიანს კვლავ მონის უღელი ედგა ქედზე. მაგრამ მას მუდამ სწამდა მომავლის ის დიდი გარიჟრაჟი, ის დიდი გარდატეხა, რომელიც დამკვიდრებდა თავისუფლების სამყაროს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ყველაზე წარმტაცი ფურცლები განათებული იყო ამ ნატვრით და ოცნებით. და დღეს, რასაც ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ირგვლივ, ყოველ ქალაქსა და სოფელში, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, ეს არის ის სინამდვილედ ქცეული ოცნება, რომელიც გამოხატული იყო ხალხის ყველაზე დიდი მესიტყვეების, ყველაზე შესანიშნავი პოეტების ქმნილებებში. რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძის დაუვიწყარი სტრიქონები:

შრომის სუფევა მოვა მაშინა,
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით;
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
აღარ აიღო ძველმა ქვეყანამ,
რომ დღე-ღამ მისი წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ მაშრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ.

ასევე ნათლად წარმოუდგებოდა აკაკი წერეთელს დღევანდელი საქართველო:

ვხედავ, ვხედავ, მომავალში
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გზა გაჰკავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა,
და მომავლის მოიმედე
აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა,
გამარჯვება ნამდვილ მუშებს,
ვაშა, ვაშა მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.
გაასწორებს და გზას მისცემს,
ტარიელს და ავთანდილსა,
ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებად გამოზრდილსა.
ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,
ზეზეულ ჰგრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმე მონებასა.
აღიარებს მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა.

დღეს ყველა ნათლად ხედავს, რომ ჩვენი სახელოვანი თერგდალეულების ამ ოცნებამ ფრთა შეისხა, მათი ეს წინასწარმეტყველება აცხადდა: უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც დამკვიდრდა შრომის სუფევა. მოვიდა იგი ჩვენს მიწაზე „ჭეშმარიტების მის ძლიერებით"; ნახევარი საუკუნეა, რაც „განკაცდა მაშრალი" და ამაღლდა იგი. ის ახლა არც ვის ემონვის და არც ვის იმონებს. ის თავისუფალი და ამაყი ბატონ-პატრონია თავისი ქვეყნის მიწისა და ცისა, თავისი ბედისა და ბედნიერების მჭედელია. ნახევარი საუკუნეა „მუშად გამოსულა ჩვენი ერი", ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერი, როგორც აკაკი ნატრობდა: მას გაჰკავს გზა და ხიდსაც აგებს ნათელი მომავლისაკენ, ის არ ისურვებს არც ვისმეს ბატონი იყოს და არც ვისმეს მონა, ის აღიარებს მხოლოდ ძმობას, თანასწორობას და სიყვარულს.

ასე ნათლად ხედავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები სამშობლოს მომავალს, მის დღევანდელ დღეს, და ეს მარტო ოცნება კი არ იყო, ეს იყო ურყევი რწმენა, დაფუძნებული ისტორიის კანონების ურღმელ ცოდნაზე.



ქართვლის დედა
დაჰყურებს დედაქალაქს

ასე შესტრფოდნენ შორიდან, გენიალური განჭვრეტით დანახულ აყვავებულ სამშობლოს პუშკინი და ლერმონტოვი, ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, ტარას შევჩენკო და ილია ჭავჭავაძე, ხაჩატურ აბოვიანი და მირზა ფათალი ახუნდოვი, და საერთოდ, ყველა საუკეთესო შვილები ჩვენი დიდი სამშობლოს მომძე ხალხებისა; აქეთ ისწრაფვოდნენ რუსებიც და უკრაინელებიც, ბელორუსებიც და უზბეკებიც, ქართველებიც და სომხებიც, აზერბაიჯანელებიც და ყირგიზებიც. ერთიანი ფრონტით იბრძოდნენ ხალხები დიდი მომავლისათვის, თავისუფლებისათვის, იმისათვის, რათა სამუდამოდ აღკვეთილიყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

1921 წლის 25 თებერვლიდან, ქართველმა ხალხმა ძალაუფლება თავის ხელში აიღო და ამაყად ჩადგა საბჭოთა ერების დიდ ოჯახში, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის; სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრების, ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა და კულტურული რევოლუციის განხორციელების გზით ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა, მათ შორის ქართველმა ხალხმა მიაღწია მანამდე არნახულ წარმატებებს, წალკოტად აქცია თავისი კულტურა.

საბჭოთა საქართველოში სოციალიზმი დიდი ხანია უკვე შეიქცა ხალხის ყოველდღიურ შრომასა და ყოფაში და ახლა ჩვენ, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, ვაშენებთ კომუნიზმის ნათელ შენობას, მთელი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალს.

და ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს უკუღმა შეატრიალოს ისტორიის ბორბალი, ჩვენი ხალხი მუდამ მტკიცედ ივლის ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზით.

ეს კიდევ ერთხელ ნათლად დაამტკიცა დიდმა სამამულო ომმა.

ომორწმესი სამაყის გრძნობით ავსებს ყოველი ქართველი პატრიოტის გულს ის ფაქტი, რომ საბჭოთა არმიის დიად განმათავისუფლებელ ბრძოლაში თავისი ჟარისად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა საქართველომ — მისმა მუშებმა და კოლმეურნეებმა, მისმა ინტელიგენციამ. ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის მომძე ხალხების მხარდამხარ ებრძოდა მთელი კაცობრიობის მომავლის გადასარჩენად; ქართველმა ახალგაზრდობამ, მომძე ხალხთა შვილებთან ერთად, მკერდით გადაეღობა გზა ჰიტლერელთა ურდოებს. ჩვენ ყველას გვახსოვს ის დღეები, როცა კარზე მომდგარმა სამშიშროებამ ოდნავადაც ვერ შეაფერხა ქართველი ხალხის საბრძოლო ნებისყოფა; პირიქით, ამ საშიშროებამ უფრო გაასალხინა და გააკაჟა იგი; საბჭოთა საქართველოს აღმოაჩნდა ჟამისათვის სულიერი და ფიზიკური ენერგია იმისათვის, რომ არ მოდრეკილიყო სამშინელი განსაცდელის წლებში და თავისი თავდაუზოგავი შრომით ზურგში და თავგანწირული ბრძოლით ფრონტზე უაქტიურესი მონაწილეობა მიეღო ჭეშმარიტად სამაყო მისიის შესრულებაში — ევროპის ხალხთა სულთა-მხუთავის, ბარბაროსული ფაშიზმის განადგურებლად გაჩაღებულ სამამულო ომში.

და თუ საბჭოთა საქართველო ამ დიდად საპატიო ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, თუ მან აღზარდა ჭაბუკთა საქვეყნოდ სახელგანთქმული მეომრები, ეს არის პირდაპირ შედეგი იმ გოლიათური, დაძაბული მუშაობისა, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ეწეოდა ლენინის დიდი პარტია ხალხის წიაღში მანამდე მიმალული შემოქმედებითი შესაძლებლობების გასაღვივებლად, გასაფურჩქნად და გამოსავლენად.

გადახედით დღევანდელ საქართველოს — ყველგან ბუმბერაზული ძალით მჩქეფარებს ხალხის დაუშრეტელი ენერგია, მშრომელის მარჯვენა ყველგან სასწაულებს ახდენს.

ქართულმა მწერლობამ კარგად გამოხატა ქვეყნის გარდაქმნისა და განახლების ეს დიდებული ეპოპეა. აქ ჩვენ მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ. 1946 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავზე შალვა დადიანი ამბობდა:

„ლოცვისებური რაიმე მინდა ვთქვი ევო ჩემს ბაგე-პირს.

დღეს ლოცვით მინდა ხელში დავიჭირო სამშობლოს სიყვარულის ნექტარით აღვსილი სახმილი ფიალა.



სურათზე: ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" პლანტაციაში.

დიდებულო სამშობლოვ, მრავალ ჭირთა მძლეო, მრავალ სანეტარო წუთების განმცდელო! შენ დააუზვე შენი ნაჭიერებისა და გონების განძეული მრავალ ათასეულ წელთა მანძილზე, საიდანაც კეთილშობილ პატიოსან თვლებად გამოსჭვივიან დიდი სახელები გონებამაღალ ადამიანთა — მეცნიერთა, ხელოვანთა, სარდალთა, მუშაკთა და სხვათა.

ჩემი ქართველობისათვის აქამდინაც ყველი მომიღერებია. მაგრამ რაც მოხდა ამ ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე — ეს უკვე დიდი, უსაზღვრო ბედნიერების მომნიჭებელია.

ეს მართლაც რომ ხალხის თვალის ახელაა, მისი სრული გამოღვიძება, მისი საუკეთესო თვისებების ფრთების გაშლაა, და ახლა კიდევ უფრო ამაყად უნდა გვეჭიროს თავი, რომ ჩვენ საბოლოოდ გამოვედით ისტორიის დიდ შარა გზაზე.

ახლა მხოლოდ ჩვენს გარჯასა და უნარზეა დამოკიდებული წარმართვა ჩვენი ცხოვრებისა.

თანამედროვეობაში თავი ისახელე, ჩემო სამშობლოვ, შენ მუდამ მოწინავე რიგებში იყავ მშვიდობიან დროს და გარდასულ საშინელ ომშიც, საბჭოთა კავშირის გმირთა სახელებს შორის ელვარებენ ქართველთა მშვენიერი სახელები.

მეცნიერება, ხელოვნება აყვავების გზაზე დგას, მრეწველობა წინ მიიწევს, შენი გოლიათი მთები გულ-მკერდსა ხსნიან ადამიანის სასარგებლოდ, მთელი ხალხი აღსდგა ასაღორძინებლად ამ ქვეყნისა.

მაშ, როგორ არ უნდა ვილოცო შენზე, ჭალარით მოსილო, მაგრამ ფენიქ-



სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა..

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

პოეტის ამ სიტყვებში ისმის საქართველოს ახალი ისტორიის სუნთქვა, აქ ძლიერად იგრძნობა მისი წინსვლის რიტმი და პათოსი.

* * *

როგორი სწრაფი ტემპით წავიდა წინ ჩვენი ქვეყანა — სიტყვაც კი უძლურია ამის გამოსახატავად.

გაიხსენეთ ძველებური ზოზინა ურემი და შეუპირისპირეთ მას დღევანდელი რეაქტიული თვითმფრინავი; ეს ცვლილება ჩვენს თვალწინ მოხდა.

მარტო ჩვენში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამენდა ერთ-ერთ უმსხვილეს სამარგანეცო ტრესტს. მისი კადრის მემაღაროეთა შორის ცოტანი როდი არიან ისეთები, რომელთაგან თვითეულმა თავისი მემაღაროული ცხოვრების განმავლობაში ამოიღო 300 ათას ტონაზე მეტი მარგანეცის მადანი — უფრო მეტი, ვიდრე ამერიკელი მილიარდერის ჰარიმანის კონცესიამ თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე.

საბჭოთა პერიოდში შეიქმნა საქართველოს შავი და ფერადი მეტალურგია; მხოლოდ ჩვიდმეტ წელს თუ ითვლის საქართველოს ინდუსტრიის სიამაყე, საბჭოთა მეტალურგიულ საწარმოთაგან ტექნიკურად ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილად აღჭურვილი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. იგი აწარმოებს თუჯს, კოქს, ფოლადს, ნაგლინს, სხვადასხვა დიამეტრის უნაკერო მილებს და ა. შ. ზესტაფონში მუშაობს ფეროშენადნობთა მძლავრი ქარხანა. ფერადი მეტალურგიის მსხვილი ბაზა იქმნება მადნეულშიც, სადაც აღმოჩენილია ტყვია-თუთიისა და სპილენძის მეტად მდიდარი საბადოები.

საქართველოში აშენდა დიდი მანქანათმშენებელი, ლითონდასამუშავებელი, ქიმიური საწარმოები, რომლებიც უშვებენ სატვირთო ავტომანქანებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ლითონსაჭრელსა და სახეხ ჩარხებს, ჩაის, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობებს, მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს, წყალქვეშა ფრთიან კატარღებსა და მაგისტრალურ ელმავლებს.

ქართული ინდუსტრიის ყველაზე ახალგაზრდა დარგი, ელექტროტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა სულ რაღაც ათი წლისაა. ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედობს 30-მდე მსხვილი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საწარმო, რომლებიც ამზადებენ ელექტრომემდუღებელ მოწყობილობას, სხვადასხვა ელექტროხელსაწყოებსა და მანქანებს, ამ საწარმოებში 30 ათასზე მეტი კაცი მუშაობს, უმთავრესად ახალგაზრდობა.

ამგებულ იქნა სამშენებლო მასალების მძლავრი ქარხნები და ფაბრიკებიც, რომლებიც ქვეყანას აძლევენ ცემენტს, აგურს, კრამიტს, მარმარილოს, ბეტონისა და რკინა-ბეტონის ასაწყობ დეტალებს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნები მთლიანად ერთ კვირაში უშვებენ იმდენ პროდუქციას, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე უშვებდნენ. ჩვენი სამრეწველო პროდუქცია კარგად არის ცნობილი მსოფლიოში. თუ წინათ საქართველო საექსპორტოდ მხოლოდ მანგანუმის მადანს, ჩაის, თამბაქოს და ღვინოს გზავნიდა, ახლა მისი საექსპორტო საქონლის სიაში შედის რთული ჩარხები და მანქანები, ზუსტი ხელსაწყოები და გემები, მაღაროს ელმავლები და კატარღები, მიწასაწოვი დანადგარები და ავტოკარები, მარმარილო და სამედიცინო პრეპარატები, ცემენტი და ქვების მრეწველობის დიდძალი პროდუქცია.


განა ცოტას მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვების მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ ჩვენში თითქმის ხუთჯერ გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს! რაღა არ მზადდება აქ: ყველა სასაქონლო ხარისხის ჩაი და თამბაქოს ნაწარმი, ღვინო და კონიაკი, კონსერვები და ეთერზეთები, აბრეშუმი და შალი, ტყავეული და ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ხალიჩები, ტრიკოტაჟი და ავეჯი და კიდევ ვინ მოთვლის!

საკმარისია ერთხელ გადაავლო თვალი ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს და მაშინვე დარწმუნდები რაოდენო გრანდიოზულია მშენებლობის მასშტაბები; თითქმის მთელი ქვეყანა გიგანტურ ხარაჩოებშია ჩამკრდარი, მარტო ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობისათვის კაპიტალური დაბანდების მოცულობა შეადგენს იმ სახსრების 60 პროცენტს, რომლებიც აქ საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე იყო დაბანდებული. ცხოვრება სულ უფრო ლამაზი ხდება, ადამიანებიც სულ უფრო უზრუნველყოფილი ხდებიან თანამედროვე სტილის საცხოვრებლებით, საოჯახო ინტერიერითა და მოწყობილობებით. მარტო გასულ წელს ჩვენში აშენდა 1 მილიონ 683 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის

(დასასრული მე-4 გვერდზე).



ზოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საზღვარგარეთული საიუბილეო გამოცემები.



ქართლის გული — გორი, ცენტრალური მოედანი.

სებრ განახლებულო სათაყვანო სამშობლოვ ჩემო!

ახლა კი დავიხმარ ბარათაშვილს:

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“

უფრო ადრე საქართველოს დიდი სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უღრეს.
თვალწინ გადაშლილ გარდატეხად უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს,
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან ძლიერ ტალღებად რომ მოღელავს ახალი ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ აღებს კარებს მილიონების უფართოეს პორიზონტებთან;
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს,
განსაცვიფრებელს,

ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით თითქმის 62-ჯერ გაიზარდა, ჩვენი ელექტროსადგურების სიმძლავრე კი 200-ჯერ. 1965 წელს საქართველოს ელექტროსადგურების ქსელი ყოველ დღე-ნახევარში იძლეოდა იმდენსავე ენერგიას, რამდენიც გამომუშავებულ იქნა მთელს 1913 წელს, უფრო მეტიც. ახლა საქართველო იმუშავებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური ერთად.

აი კიდევ ერთი ფაქტი: რევოლუციამდე საქართველოში სამთომომპოვებელ სამუშაოებს მარგანეცის 300-ზე მეტ წვრილ, ნახევრად კუსტარულ მაღაროში აწარმოებდნენ: ამ მაღაროებს 260 კერძო მეწარმე ფლობდა. დღეს მაღაროთა დამუშავების იმ ძველი პრიმიტიული იარაღებისაგან ნაკვალევიც აღარ არის დარჩენილი და მთელი მაღაროებიც ხალხს ეკუთვნის. „ჭიათურა-მარგანეცი“ წარმოადგენს მსოფლიოს

განახლებული და აღორძინებული

(დასასრული).

საცხოვრებელი ბინები, რომლებშიც 152 ათასი ახალმოსახლე შევიდა.

საკოლმეურნეო წყობილებამ ძირფესვიანად გარდაქმნა ქართველი გლეხკაცის ყოფა. აქაც ყოველ ნაბიჯზე უდიდეს წარმატებებს ვხედავთ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სიამაყეა ჩაის თვალუწვდენელი პლანტაციები. 1966 წელს მათი ფართობი იყო 63 ათასი ჰექტარი, მაშინ, როცა 1921 წელს ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო მხოლოდ 1.000 ჰექტარზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი იყო 550 ტონა. 1966 წელს კი 226 ათასი ტონა.

საქვეყნოდ განთქმულია ქართული ღვინო და ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფები. დაუცხრომლად შრომობენ ჩვენი მევენახეები და მეჩაიეები, მეცხოველეები და მექანიზატორები, რათა უფრო ამრავლონ სახალხო დოვლათი.

უხვი და მდიდარია საბჭოთა საქართველო. რას არ იძლევა ჩვენი მადლიანი მიწა, როცა მას გამრჯე და დაუღალავი საბჭოთა ადამიანი დასტრიალებს თავს. ამ მიწა-წყალზე, სამოცდაათი ათას კვადრატულ კილომეტრზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, არ არის სოფელი და ქალაქი, რომ თავისი გმირი არა ჰყავდეს, ერთი კი არა, მრავალი სახელოვანი ადამიანი.

მაგრამ ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ფუძვამთ, რომ არა მარტო პურითა ერთითა ცოცხლობს კაცია. ჩვენს ადამიანებს, ჩვენს მომავალ თაობას რძეზე ნაკლებად როდი სჭირდებათ კარგი წიგნი, რათა ისინი სულიერად აღიზარდონ, იყვნენ მუდამ მართალნი, სამშობლოს მოყვარულნი, მაღალი მორალის ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, საკვირველო მომავლის დამამკვიდრებელნი.

აქაც უხვი და მდიდარია საბჭოთა საქართველო; ქართველი კაცი ამაყობს ქართული ჩაით, არა მარტო ქართული ფოლადით; ახლა დიდ მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი დიდებული ძველი და ახალი კულტურაც, ჩვენი რუსთაველი და გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ჩვენ მოწმენი ვართ ქართული ეროვნული კულტურის უმაგალითო აყვავებისა. თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნებს გატაცებით კითხულობენ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, მთელ მსოფლიოში. ჩვენმა თეატრმა აღზარდა ოსტატები, რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი, ასევე გამოიჩინეს თავი ჩვენმა კომპოზიტორებმა, მხატვრებმა და მოქანდაკეებმა.

და განა მარტო მწერლობა და ხელოვნება! მთელი მსოფლიო იცნობს ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევებს დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის დარგში; ქართველმა ფიზიკოსებმა შექმნეს სრულყოფილი აპარატურა ატომგულის რეაქციების გამოსაკვლევად. სახელოვნად იღწვიან ჩვენი გეოლოგები, ქიმიკოსები, ასტრონომები, ჰუმანიტარული დარგის მეცნიერნი — ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნენი, ხელოვნებათმცოდნენი, მთელი ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო აკადემია, რომელიც საბჭოთა კავშირის პრიმატია.

ჩვენი სიბრძნის დიდ ტაძარს — ქართულ უნივერსიტეტს მხარში ამოუდგნენ უამრავი ინსტიტუტები, რომლებიც ამზადებენ შესანიშნავ კადრებს...

და ახლა, დიდი ოქტომბრის სახელოვანი ორმოცდაათი წლის ზეიმის წინა დღით, ქართველი ხალხი სიამაყით ამბობს:

ოქტომბერი — ჩვენი პლანეტის გაზაფხულია, მთელი კაცობრიობის სიხარული, მისი აღორძინების და წინსვლის შემჩმისიელი გზაა.

სურათზე: კურორტ ციხისძირის ერთ-ერთი კუთხე.

ჩვენი მკითხველები გვწერენ

დედა-სამშობლო ერთია

სამშობლო ერთი აქვს ადამიანს, ისე როგორც ერთი ჰყავს დედამშობელი. ფუფუნებაშიც კი ძნელია ცხოვრება სამშობლოსაგან მოწყვეტილ კაცს, რადგან აქაური სალი კლდეები კი უკვდავების ხეზე არ გაიცვლებ. მაგრამ ყოველთვის ისე როდი მიდის ცხოვრება, როგორც ადამიანს სურს. ადრე ბედის უკუღმართობის გამო ისე მოხდა, რომ ამჟამად საზღვარგარეთ ათასობით ქართველია დარჩენილი. დიდია მათი სურვილი სამშობლოსთან დაახლოებისა, თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურისა. ბევრი მათგანი შეშმარიტი მამულიშვილობით ღირსეულადაც იხდის თავის კეთილშობილურ მოვალეობას, მაგრამ მარტოოდენ ეს როდი აკმაყოფილებს ადამიანის გულსა და გონებას. უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სურთ ყველაფერი იცოდნენ სამშობლოს შესახებ, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ თავისიანებთან. ხშირად ინახულონ მამა-პაპათა მიწა-წყალი, ქართულ ტრადიციებზე აღზარდონ თავიანთი შვილები და შვილიშვილები.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება სწორედ ეს არის და ხიდია, რომელიც მათ სამშობლოსთან მჭიდროდ აკავშირებს. ბევრი წერილი მოდის უცხოეთიდან ჩვენი საზოგადოების სახელზე. აი ზოგიერთი მათგანი.

„...მე ირანში მცხოვრები ქართველი ვარ. აქაც მწვდება რადიოთი თქვენი ხმა, თქვენი კარგი ქართული. ჩემი გული მუდამ თქვენთანაა“.

„გთხოვთ მეც გამომიგზავნოთ თქვენი გაზეთი „სამშობლოს ხმა“, რადგან თურქეთში მცხოვრებ ბევრია მისი წაკითხვის მსურველი და ხშირად ვერ ვშოულობ“...

„მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მაგნიტოფონზე ჩანაწერი, რომელსაც ვინახავ, როგორც ყველაზე საუკეთესო სახსოვარს. ამიერიდან ტკბილ ქართულ სიმღერებს ფრანგებსაც მოვასმენინებ“.

ასეთი ხასიათის წერილები ხშირად მოდის საზოგადოებაში. თითქმის ყოველ მათგანს აერთიანებს სამშობლოსა და მოყვასისადმი დიდი სიყვარული, მათი ბედნიერებისათვის ყოველდღიური ზრუნვა.

მათ ეპიგრაფად გამოდგებოდა საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულის **მირიან ზედგენიძის** მიერ უბრალოდ, მაგრამ ხალასი გრძნობით ნათქვამი სიტყვები:

„სადაც ვიქნებით, მამულის ავანთოთ დიდი ლამპარი, ყველგან, ყოველთვის ვატაროთ გულები, მისით გამთბარი“.

სამშობლოს კარი ღიაა თავის შვილთათვის, მაგრამ ყველას როდი შეუძლია აისრულოს გულის წადილი. ერთნი უცხოეთში შექმნილი ოჯახით არიან ხელფეხშებორკილნი, მეორენი იკონომიურად არიან გაჭირვებულნი ან ფიზიკურად დასუსტებულნი, მესამენი დღესაც ანტისაბჭოთა პროპაგანდის ტყვეობაში იმყოფებიან.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა უმრავლესობისათვის ყველაზე ბედნიერია ის დღე, როცა ჩვენს გაზეთს იღებენ ან რადიოგადაცემას უსმენენ, რადგან მათი საუბლებით იგებენ საყვარელი სამშობლოს ამბებს.



გული და მთის ჰაერი

ქართველ და გულგარელ კურორტოლოგთა ერთობლივი გამოკვლევები

უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს ბულგარეთის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტთან. ისინი სისტემატურად უგზავნიან ერთმანეთს მეცნიერულ ინფორმაციებს, შრომებს.

შარშან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მედიკოთა ინიციატივით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალური ინსტიტუტის, ბულგარეთისა და საქართველოს ინსტიტუტების კოლექტივებმა დასახეს გეგმა ერთობლივი კვლევა აწარმოონ, თუ რა გავლენას ახდენს საშუალო მთის კლიმატი (1.000-2.000 მეტრი) გულით ავადმყოფებზე.

სამუშაო გეგმა გათვალისწინებულია ხუთი წლისათვის. გადაწყდა დაკვირვება აწარმოონ ბულგარეთში მთის კურორტ კურტოვოში (1.830 მეტრი), ხოლო საქართველოში კურორტ შოვში (1.600 მეტრი ზღვის დონიდან).

საქართველოში წარმოებულ გამოკვლევათა ხელმძღვანელმა თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის სამეცნიერო კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. უშვერიძემ ჩვენს კორესპონდენტს უამბო:

— გულით ავადმყოფთა მკურნალობისათვის მთის კლიმატის გამოყენების საკითხში მედიკებისათვის ჯერ კიდევ ყველაფერი ცხადი არ არის. კურორტოლოგთა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ მთის კლიმატის სამკურნალო მოქმედება ფრიად მნიშვნელოვანია. მაგრამ მაღალი მთის კურორტზე გაგზავნის წინ საჭიროა ავადმყოფთა გულდასმით გამოკვლევა, მათი თანდათანობით აკლიმატიზაცია და სხვ.

ვმუშაობთ რა ბულგარელ კოლეგებთან ერთიანი მეთოდიკით, ჩვენ დავამთავრეთ პირველი ეტაპი გამოკვლევებისა წაღვერსა და შოვში. წინასწარმა შედეგებმა საშუალება მოგვცა გამოგვეტანა შემდეგი დასკვნა:

მთის კლიმატი ზოგიერთი ფორმის ჰიპერტონიული დაავადების დროს კარგ ეფექტს იძლევა, აწესრიგებს წნევას, აუმჯობესებს სუნთქვის ფუნქციას და ზოგიერთ ბიოქიმიურ მაჩვენებლებს. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში 1.600 მეტრ სიმაღლეზე ყოფნის დროს ვერ ვაღწევთ დადებით შედეგებს. 1.050 მეტრი სიმაღლე, რომელზეც მდებარეობს კურორტი წაღვერი, სავსებით შეიძლება ვურჩიოთ ჰიპერტონიკებს.

საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატების მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა გავგვეფართოებინა გამოკვლევების ფრონტი — გვეძებნა ოპტიმალური სიმაღლე სხვადასხვა ფორმის გულ-სისხლძარღვების დაავადებათა მკურნალობისათვის. ჩვენ ვსწავლობთ აგრეთვე მთის კურორტებზე ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა მკურნალობის საკითხებს, ხოლო უახლოეს დროში შევუდგებით სისხლის, კანის დაავადებათა, საბავშვო ასაკის ავადმყოფობათა საკურორტო მკურნალობის შესაძლებლობის გამოკვლევას.

აი რას იწერება ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩვენი თანამემამულე **ნოე კვახაძე:**

„ძალიან მიხარია, რომ ჩვენი სამშობლო — საქართველო ბედნიერია. დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“ სწორედ, რომ ასრულდა პოეტის სურვილი“.

მაგრამ ყველას როდი სჯერა ჩვენი სამშობლოს წარმატებანი. ალბათ არასოდეს დავიწყდება, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ამ სამი წლის წინათ საქართველოში სტუმრად ჩამოსული ერთი მეტად პატივცემული, საზღვარგარეთის ქართველობაში კარგად ცნობილი პიროვნება, რომელიც ჩვენი სამშობლოს მტრებმა ბავშვივით მოატყუეს. მან თავის ნათესავებს საქართველოში საჩუქრად ჩამოუტანა ნემსებითა და კოჭის ძაფებით სავსე ჩემოდანი, რადგან დაარწმუნეს, რომ ჩვენს „ჩამოხეულ ტანსაცმელს“ ყველაზე უკეთ იგი მოუხდებოდა. რა მწარედ ნანობდა მერე თავის ასე გაბაიბრუებას, როგორ გულწრფელად იხდიდა ბოდიშს ახლობელთა წინაშე!

ბევრისათვის, მართლაც, ძნელია დაიჯეროს ყველაფერი, რაც ამ 46 წლის განმავლობაში ჩვენში გაკეთდა. **„ჩვენს შვილებს ნაკლებად სჯერათ საქართველოს ქება-დიდება, რასაც ყურნალ-გაზეთებში კითხულობენ. როცა საკუთარი თვალით ნახავენ, მაშინ დაიჯერებენო“.** — გვწერს საფრანგეთიდან თანამემამული **ვიქტორ ინაშვილი.** სრული სიმართლეა! საკუთარი თვალით ნანახს არაფერი სჯობია. აი ასეც მოიქცა ახალგაზრდა **ნოელ გუნია,** რომელიც გასულ წელს ესტუმრა საქართველოს. ახლახან მიღებულ წერილში მამამისი საფრანგეთიდან გვწერდა: **„ჩემს ქალიშვილს ძალიან მოეწონა საქართველო და ქართველი ხალხი. ახლა „დედა ენას“ სწავლობს და სურვილი აქვს შემავალ წელს უფრო დიდი ხნით ჩამოვიდეს საქართველოშიო“.**

ისეთებიც მოიპოვებიან, რომელთაც არაფრით არ უნდათ დაიჯერონ ჩვენი სამშობლოს წარმატებანი. ავსტრალიაში მცხოვრები ვინმე დიდებულიძე დიდი რიხით გვწერდა: მაღლობას მოგახსენებთ გაზეთის გამოგზავნისთვის, მაგრამ იმას ნუ იფიქრებთ, რომ მისი რაიმე მჯეროდესო. რას იზამ, არიან ისეთი ურწმუნო ადამიანები, რომლებიც რაღაზე ისე გაიცლიან, ქუას არ დაინახავენ. ესენი არიან გადაგვარებული ადამიანები, რომელთაც შეიძლება ერთ დროს ნებით თუ უნებლიედ შეცდომა ჩაიდინეს სამშობლოს წინაშე და ალარასოდეს აღარ უცდიათ მისი გამოსწორება, მათ საკუთარი ხელით დასწვეს სამშობლოსთან შემაერთებელი ხიდი და როცა ჩვენი წარმატებანი ესმით, გულზე ლახვარი ესობათ. სწორედ ასეთ ადამიანებზეა ნათქვამი ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ **დიმიტრი მახარაშვილის** სიტყვები:

„გაგება უნდა წერილსა,
ნაწერსა შენი ძმისაო,
თუ თვითონ აქცევ ოჯახსა,
ბრალი არ არის სხვისაო“.

ავსტრალიაში მცხოვრებ თანამემამულის დიდებულიძისთანა ადამიანებს არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოეთიდან სტუმრად ჩამოსული თანამემამულეებისაც კი არა სჯერათ. ისინი ლანდავენ, „სამშობლოს გამყიდველებს“ უძახიან ყველას, ვინც რაიმე კარგს იტყვის საბჭოთა საქართველოზე.

საბედნიეროდ, დიდებულიძის მსგავსნი თითზე ჩამოსათვლელნი არიან და მათზე ყურადღება მხოლოდ იმიტომ შევაჩერეთ, რომ ისინი ყოველწაირად ცდილობენ, და ზოგ შემთხვევაში კიდევაც ახერხებენ, ცხოვრება მოუშხამონ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, გონება მოუწამლონ იქ დაბადებულ ახალგაზრდობას, რომლებიც საქართველოს მხოლოდ წიგნებითა და ზეპირი გადმოცემებით იცნობენ. აი რას გვწერდა **ბელგიიდან ერთი ჩვენი თანამემამული,** რომლის გვარსაც მისივე თხოვნით აქ არ ვასახელებთ:

„გასულ წელს რამდენიმე დღით ვიყავი თბილისში და მეტისმეტად კმაყოფილი დავრჩი მანდ ნახულითა და გაგონილით. საბჭოთა ტექნიკა და მეცნიერება იმდენად განვითარდა, რომ აღარ შეიძლება იმ სათვალეებით მისი განსჯა და ხილვა, რომლითაც 50 წლის წინათ ვუყურებდით. ამიტომაც უფრო მეტად მტკივა გული, როცა ზოგიერთი აქაური ქართველის გადაგვარებას ვხედავ. თქვენ შორს ხართ აქედან და ბევრი რამ არ შეგიძლიათ ნათლად წარმოიდგინოთ. ერთ რამეში მაინც არ მეპარება ეჭვი: აქ დაბადებული ახალგაზრდები სწორი აღზრდის შემთხვევაში ისევე სარგებლობას მოუტანდნენ სამშობლოს, როგორც მანდ დაბადებულნი. თუ წარსულში მათმა მშობლებმა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს სამშობლოს წინაშე, შვილებს ეს არ უნდა მოეკითხოს. საბედნიეროდ ეს ასეც არის. ოღონდ თქვენ უფრო მეტი უნდა ეცადოთ, რადგან აქ ფაქტიურად აღარ არის ემიგრაცია, არის მხოლოდ ნანგრევები, რომლის ქვემოდან ახალმა ულორტებმა წამოჰყვეს თავი. ნორჩ ხეხილს კი მოვლა-პატრონობა, წყლის დასხმა სჭირდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველო მანდ არის და მის მიწა-წყალზე თქვენ ცხოვრობთ. დედა-სამშობლო მანდ არის, მან უნდა შეიფაროს თავის ფრთებქვეშ თავისი შვილები“.

ვფიქრობ ამ წერილს არავითარი კომენტარი არ ესაჭიროება. ასე უნდა ფიქრობდეს, ასე უნდა ზრუნავდეს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი თავის სამშობლოს ბედზე.

გ. კავთიაშვილი.



სურათზე: საქართველოს დედაქალაქის თბილისის მთავარი მაგისტრალის რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან.

ეუზენეთი ცისქვეშ

- **18 ათასი ჰექტარი ფართობი**
- **ორი ათას ოთხასი ირემი**

ჰეშმარიტად ზღაპრული სამყაროა ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია კავკასიაში. 18 ათას ჰექტარ ტერიტორიაზე ბუნების რა სასწაულს არ შეხვდებით. ლამაზად ეხამება ადგილობრივ მთაგორიან ლანდშაფტს ხეობები, მდელოები, ტყეები, მდვიმეები, გამოქვაბულები, წყაროები და ნაკადულები.

ბორჯომის მუზეუმში ღია ცის ქვეშ საქართველოს ღიდარი ფაუნის ბევრი წარმომადგენელი ბინადრობს. აქ ნახავთ დათვს, კავკასიურ ჯიხვს, მგელს, ფოცხვერს, გარეულ ღორს, გარეულ კატას, არჩვს, კვერნას, ხოხობს, მთის არწივსა და მრავალ სხვა ნადირსა და ფრინველს. წლითიწლობით იზრდება ნაკრძალის ბინადართა რიცხვი. თუ შვიდი წლის წინათ ირმების რემაში იყო 1200 სული, ახლა მათმა რიცხვმა გადააჭარბა 2.400-ს.

ბორჯომის ნაკრძალ ში ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება განაპირობა ფლორის სიმდიდრემ. აქ ხარობს რცხილა, წიფელი, წაბლი, ცაცხვი, ნაძვი, კაკალი და მრავალი სხვა მცენარე.

ბორჯომის ნაკრძალის თანამშრომლები მზრუნველობით უვლიან მცენარეებს; ცხოველებს, ფრინველებს. ზოგიერთი პირუტყვის კვების პირობების გასაუმჯობესებლად თესავენ სიმინდს, კარტოფილს, ზოგიერთ ადგილას ირმებს მოელით სიურპრიზი — თივის ზვინები.

ნაკრძალთან შექმნილი ბიოლოგიური ლაბორატორია გულმოდგინედ ებრძვის მცენარეთა მავნებლებსა და დაავადებებს.

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში არის მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ასობით ძვირფასი ექსპონატი. ახლა ბუნების შესანიშნავი ძეგლი — ბორჯომის ნაკრძალი მრავალი ტურისტისა და დამსვენებლის ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილია.

მაია ჭა ახის

ამიერკავკასიის კლიმატური რუკა

შეადგინეს თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტში. იგი შექმნა არქიტექტურის კანდიდატმა, სამშენებლო მეცნიერების ლაბორატორიის თანამშრომელმა პ. ბირკაიამ. ამ რუკის დახმარებით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის არქიტექტორებსა და მშენებლებს ახლა შეუძლიათ უკეთ გამოიყენონ ამიერკავკასიის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებანი ახალი ქალაქების, დაბების, შენობების დაპროექტების დროს, შეაფასონ კლიმატის გავლენა საშენ მასალათა ხანგამძლეობასა და ნაგებობათა კონსტრუქციაზე.

ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილს ახასიათებს ჰაერის დიდი ტენიანობა, თანაბარზომიერი კლიმატი და ტემპერატურის უმცირესი (კავკასიისათვის) მერყეობა. მისი ცენტრალური და აღმოსავლეთი რაიონები კი გამოირჩევა შედარებით მშრალი და კონტინენტური კლიმატით. სწორედ ეს თავისებურებანი აისახა რუკის შედგენის დროს. ამიერკავკასიის ტერიტორია რუკაზე წარმოდგენილია ორი დიდი სამშენებლო-კლიმატური რაიონის სახით (ჰაერის მაღალი და ნორმალური ტენიანობით). თითოეული ეს რაიონი თავის მხრივ დაყოფილია მთელ რიგ ზონებად. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის თავისებურებებით, ჰაერის მასების ცირკულაციით, ქარის ძალითა და მიმართულებით, ისე რეუიმით, ატმოსფერული ნალექების განაწილების ხასიათით.

ამიერკავკასიის ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა ბევრად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისაგან. მაგალითად, კავკასიის კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ჰაერის ტენიანი მასები ატლანტის ოკეანის, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზების მხრიდან, ისე ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის, შუა და ჩრდილოეთ აზიის კონტინენტური კლიმატი.

ამიერკავკასიის კლიმატური რუკა ეხმარება სპეციალისტებს დააპროექტონ ეკონომიურად ხელსაყრელი და მოხერხებული საცხოვრებელი შენობები.

რუკას უკვე იყენებენ ქართველი არქიტექტორები.

კარი ცოდნის სამყაროში

ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა, მერე იმისთანა სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არა მოგემატება.

ილია ჭავჭავაძე.

დედაქალაქის ფოტომატიანე

ცოდნა ხალხს — ეს დევიზი ძველთაგანვე ცნობილია საქართველოში. ქართველი ხალხის კულტურის, მეცნიერების უყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს გულით უტარებიათ და საქმით უმტკიცებიათ ეს კეთილშობილური მიზნები. კულტურის ფრონტის უანგარო მოღვაწეთ ხალხისადმი თავდადებული სამსახურის წარუშლელი ტრადიცია დაუტოვებიათ. საკმარისია მოვიგონოთ საქართველოს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი კეთილშობილური საქმეები, მისი დიდი მოღვაწენი ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იონა მეუნარგია.

ქართველი ხალხის სასიქადულო წინაპართა ეს შესანიშნავი ტრადიციები კიდევ უფრო ფრთებს შლის და ახალ შინაარსს იძენს ჩვენს დღეებში, როცა ჩვენი ხალხი უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენათა და გამარჯვებათა უშუალო მონაწილე გახდა. სულ უფრო და უფრო იზრდება მშრომელთა მასების სულიერი მოთხოვნილება ცოდნის შეძენისა და სამყაროს შეცნობისა, ტექნიკურ პროგრესში გარკვევისა და ჩაწვდომისა. ახლა ჩვენს კოლმეურნეს თუ მუშას უფრო მეტად აინტერესებს საკითხები ქიმიისა თუ ფიზიკის დარგში, კოსმონავტიკასა თუ ესთეტიკაში. ასეთია თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობის, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომის ასპარეზის გაფართოებისა და განვითარების კანონზომიერებანი.

სწორედ ამიტომ არის რომ მეტად მრავალფეროვანია საქართველოს „საზოგადოება „ცოდნის“ მოღვაწეობის ფორმები და მეთოდები, ლექციური პროპაგანდის თემატიკა. საზოგადოებაში გაერთიანებული არიან საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მეცნიერების 24 დარგში კითხულობენ ლექციებს. საზოგადოების რიგებს ამშვენებენ ასზე მეტი აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 500-ზე მეტი პროფესორი და მეცნიერების დოქტორი, 2.500-მდე დოცენტი და მეცნიერების კანდიდატი, 7.904 მასწავლებელი. 1.830 ექიმი, 1.408 ინჟინერი, 884 ეკონომისტი და სხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ისინი უანგაროდ ემსახურებიან ჩვენს ხალხს, არიშურებენ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნას“ წელს 20 წელი შეუსრულდა. იგი დაარსებული იქნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ინიციატივით. 1947 წლის ივნისში შეიქმნა მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის საინიციატივო ჯგუფი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მეთაურობით. ამ საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ აკადემიკოსები გ. ახვლედიანი, რ. აგლაძე, ი. ვეკუა, ს. ჯანაშია, ნ. კეცხოველი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ი. ბერიტაშვილი, ა. ჩიქობავა, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გულისაშვილი, ვ. კუპრაძე, გ. ჯიბლაძე და სხვები. საინიციატივო ჯგუფმა, რომელმაც შემდგომში აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. 1947 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა საქართველოს მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელზეც შემუშავდა საზოგადოების წესდება და განისაზღვრა მისი მიზნები და ამოცანები.

განვლილი 20 წლის მანძილზე საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“ გადაიქცა ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთ დიდ მასობრივ ორგანიზაციად, რომლის რიგებში ათასობით მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ინჟინერი, პედაგოგი, აგრონომი, შემოქმედებითი კავშირების წევრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების მოწინავენი არიან გაერთიანებული.

ჩვენი საზოგადოების ზრდაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ასეთი ციფრობრივი მაჩვენებლები. 1949 წლის იანვრის დამდეგს საზოგადოება თავის რიგებში ითვლიდა 1.100 წევრს, რომელთა მიერ 1948 წლის განმავლობაში წაკითხული იქნა 1.900 ლექცია. 1954 წლისათვის ეს ციფრები შესაბამისად უდრიდა — 5.200 და 17.200; ხოლო 1960 წლისათვის საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 8.200 წევრი, რომლებმაც 72.000 ლექცია წაიკითხეს. 20 წლისთავზე საზოგადოების რიგებში გაერთიანებულია 24.200 წევრი, რომლებიც ყოველწლიურად 250 ათასზე მეტ ლექციას კითხულობენ.

ამ მაჩვენებლებთან ერთად უფრო მრავალფეროვანი გახდა ზეპირი პროპაგანდის ფორმები, საგრძნობლად ამაღლდა ლექციების იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონე. ფართოდ დამკვიდრდა საზოგადოების ორგანიზაციების პრაქტიკაში პროპაგანდის სხვადასხვა მასობრივი ფორმები: სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ. ახლა რესპუბლიკაში თითქმის არ არის ისეთი საწარმო ან დაწესებულება, სოფელი და მშრომელთა კოლექტივი, სადაც საზოგადოების წევრები ლექციებით არ გამოდიოდნენ.


ლექციები ლიტერატურასა და ხე-


ბათუმი—ტურისტთა საყვარელი ქალაქი

ბათუმი. თბომავლებს, მატარებლებს, თვითმფრინავებს ყოველდღე მოჰყავთ აჭარის დედაქალაქში ასობით ტურისტი ჩვენი სამშობლოს და საზღვარგარეთის თითქმის ყველა კუთხიდან.

ბათუმის ტურისტულ ბაზაში, რომელიც მთელ წელიწადს მუშაობს, შექმნილია დასვენების ყველა პირობა. ტურისტთა განკარგულებაშია სამოდელი კორპუსები, სასადილო, კლუბი, კეთილმოწყობილი პლაჟი. აქ სისტემატურად ეწყობა დასვენებისა და გართობის საღამოები, კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, უჩვენებენ კინოფილმებს, ეწყობა ექსკურსიები. მიმდინარე წელს ბაზაში უკვე იყო 25 ათასზე მეტი კაცი.

მომავალ წელს დაიწყება ბათუმის ტურისტული ბაზის ახალი დიდი კორპუსის მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია 700 კაცისათვის.





საბჭოთა ხევსური

№ 20, ოქტომბერი, 1967 წ.

სურათებზე: გმირთა მოედანზე, სადაც ახლა თერთმეტსართულიანი სახლია აღმართული, წინათ იდგა ერთი უბადრუკი სამიკიტნო (მარჯვნივ), რომელსაც ერქვა „ნუ მიმატოვებ, ჩემო კეთილო!“

ლოვნებაზე, ქიმიასა თუ ფიზიკაზე, მათემატიკასა და მედიცინაზე, ბუნების მეტყველების სხვადასხვა დარგებზე დიდ ინტერესს იწვევენ მშრომელებში. თანამედროვე მათემატიკის განვითარების გზები, კიბერნეტიკის როლი, ქიმია და სოფლის მეურნეობა, კოსმოსი და საბჭოთა მეცნიერება, მმართველი თერმობირთვული რეაქციები, მათემატიკა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა როლი საზოგადოების პროგრესის საქმეში და ლექციები სხვა თემებზე აუდიტორიიდან აუდიტორიაში გადადის და ახალ-ახალ ათასეულ და ასეულ ათას მშრომელს ეუფლება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ“ თავის არსებობის 20 წლის მანძილზე 1.314.270 ლექცია წაიკითხა, რომელსაც 67.770.300 კაცი დაესწრო. თუ ამას დავუმატებთ საზოგადოების მიერ გამოცემულ 1.026 სახელწოდების ბროშურას 8.234.700 ტირაჟით, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ საზოგადოების ზებრი და ბეჭდვითი პროპაგანდის თანამედროვე დონეზე და მის უდიდეს შესაძლებლობებზე.

საზოგადოება „ცოდნის“ მოღვაწეობა და საქმიანობა მთლიანად უპასუხებს უმნიშვნელოვანეს ამოცანას — მივცეთ ხალხს მეცნიერული ცოდნა, ავამაღლოთ მუშებისა და კოლმეურნე გლეხების კულტურულ-ტექნიკური დონე, მოვსპოთ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავება.

ასეთია ჩვენი უახლოესი ამოცანები. მათი წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია ჩვენი საზოგადოების წევრთა უდიდესი სურვილი უანგაროდ ემსახურონ მშობლიურ ქვეყანას, ქართველ ხალხს.

ბ. მერკვილაძე,

საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

ას წლამდე—დაუბერებლად

აფხაზმა კოლმეურნე ქალმა ხფაფ ლასურიამ თავისი დაბადების 130 წელი აღნიშნა. საოცარი შრომისუნარიანობა შემორჩენია ამ პატარა ტანის გამხდარ ადამიანს. გასულ წელს მან მოკრიფა 1700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და წინ გაუსწრო ბრიგადის ბევრ წევრს. ქართველი კოლმეურნეობის უხუცესს კარგი სმენა და მხედველობა აქვს, არასდროს ავად არ გამხდარა.

ხფაფ ლასურია ერთ-ერთი იმ ორიათასთაგანია საქართველოს მცხოვრებთაგან, რომლებმაც ას წელს გადააცილეს.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალწლოვანთა უმეტესობა ცხოვრობს შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობზე და კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე მდებარე მთის სოფლებში.

საქართველოს გერონტოლოგიის ცენტრის თანამშრომლები ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ყველაზე ხალსაყრელს თვლიან ისეთ ადგილებს, რომლებიც მდებარეობს ზღვის დონიდან 500-1.500 მეტრ სიმაღლეზე და სადაც შერწყმულია მთის ჰავა ზღვის ჰავასთან.

მრავალწლოვანთა შრომითი საქმიანობის წესწავლამ, რომელიც ჩატარდა პროფესორ ფიცხელაურის ხელმძღვანელობით, ცხადყო, რომ ყველა ისინი არა მარტო წარსულში შრომობდნენ აქტიურად, არამედ ამჟამადაც ეწევიან ფიზიკურ შრომას.


ქართველი მეცნიერები თვლიან, რომ სწორად დაყენებული შრომა არა თუ გამორიცხავს ადამიანის ცალმხრივ ფიზიკურ განვითარებას და ორგანიზმის ნაადრევ გაცვეთას, არამედ ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას და მისი უნარიანობის სრულყოფას.

როგორც წესი, მოხუცთა უმეტესობა თამბაქოს არ ეწევა. ისინი ჭამენ საქართველოსათვის დამახასიათებელ ცხარე კერძებს, ბოსტნეულს, ლობიოს, ყველს, თაფლს, რძის პროდუქტებს, ხორცს. სვამენ ძირითადად ნატურალურ, ყურძნის ღვინოს. მათი უმეტესობა ავად არ ყოფილა. ასწლიანებში იშვიათია ჭლექის და კიბოს დაავადებანი.

ქართველ გერონტოლოგთა მონაცემებით ყველა მრავალწლოვანი ქორწინებაშია ნამყოფი. 100-130 წლის ასაკის 40 ქალიდან მხოლოდ ოთხს არ ჰყავდა ბავშვები.

მეცნიერები იმ აზრისა არიან, რომ არსებობს კანონზომიერი კავშირი მრავალწლოვანი სიცოცხლისა მშობლებსა და მათ მემკვიდრეებს შორის. თანდაყოლილობის ნიშნები გამომუშავდება მრავალწლოვანთა წინაპრების სიცოცხლე-საქმიანობის მთელ მანძილზე. ოჯახური მრავალწლიანობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ასტან შლარბა. ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლეს მისმა დედამ, მამამ, ძმამ, მამის მშობლებმა. მითუმეტეს, ჭართველი გერონტოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობითი ნიშნები მეძღავნდება მხოლოდ მატერიალური, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების ერთიანობისას.

მეცნიერები თვლიან, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია შეაჩეროს დაბერების პროცესი თავისი ცხოვრების გონიერი მოწყობით. ადამიანებს შეუძლიათ და უნდა იცოცხლონ უფრო დიდხანს, ვიდრე ახლა.



სურათებზე: — ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულას 130 წლის მცხოვრები ხფაფ ლასურია.
— ხფაფ ლასურია, მისი 80 წლის ვაჟი ტრკუნი და ტრკუნის შვილიშვილები.
— ჯგერდის 104 წლის მცხოვრები ასტან შლარბა დაბადების დღეს ცხენით ეწვია ხფაფ ლასურიას.
— ასი წლის ტან შარმადი მეულლითურთ.

ფოტო გ. კიკვაძისა.







აპარატი დიაგნოზს სწვეს

ჟუთაისი. ორიგინალური აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ კიბოს უჯრედები სისხლში, შექმნა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს სამეცნიერო-ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **შ. მარდახაიშვილმა.**

არსებობს რამდენიმე ათეული მეთოდი სისხლში სიმსივნის უჯრედების აღმოსაჩენად, მაგრამ ყველა ისინი რთულია, ძნელად მისაწვდომი, მოითხოვს ძვირადღირებულ, დეფიციტურ რეაქტივებს და, რაც მთავარია, ამ რეაქტივების — შხამების მოქმედებით ზიანდება თვით კიბოს უჯრედები, რაც არა საიმედოს ხდის დიაგნოსტიკას.

მარდახაიშვილის აპარატი არ მოითხოვს რეაქტივების გამოყენებას. ამის შედეგად არ იცვლება კიბოს უჯრედების მორფოლოგიური სტრუქტურა და მათი აღმოჩენა სწრაფად შეიძლება.

წინათ ერთ ანალიზს სჭირდებოდა 15-18 საათი. ახალი აპარატი მას 20 წუთში აკეთებს.

ახალი მოწყობილობა საიმედო და ადვილი სახმარია.

შ. მარდახაიშვილი ავტორია 50 მეცნიერული შრომისა მედიცინის სხვადასხვა საკითხზე. ახლა იგი მუშაობს დისერტაციაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაოსნობა ბათუმში იწყება

— **საქართველოს** საზღვაო სანაოსნოს შექმნა, რომელმაც ოთხი თვის წინათ დაიწყო ნავიგაცია, — ამბობს მისი უფროსი, წარსულში ცნობილი პოლარული კაპიტანი **ანატოლ კაჭარავა,** — აიხსნება რამდენიმე გარემოებით. საქართველოს აქვს პირველხარისხოვანი ნავსადგური — ფოთი, ბათუმი (ორივე სატვირთო), სოხუმი (სამგზავრო), რომლებიც მყარი ოდენობის ტვირთს იღებენ და გზავნიან. იგი შეიძლება რამდენჯერმე გაიზარდოს (მაგალითად, ფოთის ნავსადგურში თითქმის ერთისამად), თუ ნავსადგურებს უფრო მობილურად, ზუსტად ვუხელმძღვანელებთ, გაიზრდება მათი ტექნიკური აღჭურვილობა. სამწუხაროდ, ძველი ხელმძღვანელობა ამ მოთხოვნებს ვერ უზრუნველყოფდა. შავი ზღვის ფლოტი რენტაბელურად არ მუშაობდა (საქართველოს სანაოსნო შექმნილია შავი ზღვის სანაოსნოს ბაზაზე, რომლის ცენტრი ოდესაშია და რომელსაც გამოეყო კიდევ ორი სანაოსნო — აზოვისა და ნოვოროსიისკისა).

ოთხი თვის ნავიგაცია საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა: ახალი სანაოსნოს შექმნა გამართლებულია.

მთავარი ყურადღება ექცევა ტვირთის ნაკადის გულდასმით შესწავლას. ძირითადი ორიენტაცია აღებულია იმ ტვირთებზე, რომლებიც უფრო მეტად მოდის საქართველოს ნავსადგურებში, კერძოდ, ისეთ სტაბილურ ტვირთებზე, როგორიც არის ნავთობი, მანგანუმის მადანი, ლითონის ნაწარმი, რომლებიც წინათ დიდ წრეს აკეთებდნენ რკინიგზით, სანამ პატრონთან მოხვდებოდნენ.

ფართოვდება ექსპორტი. სანაოსნოს გემები შევლენ ინგლისის, ჰოლანდიის, ისლანდიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ნავსადგურებში. წაუღებენ ნავთობპროდუქტებს ჩვენი ქვეყნის თევზსაჭერ და ვეშაპსაჭერ ფლოტილიებს, ოკეანეებში რომ ეწევიან რეწვას.

სანაოსნო ძირითადიდ დაკომპლექტებულია ადგილობრივი სპეციალისტებით. 250-მდე კაცი — მოტორისტები, მატროსები ახლა სწავლობენ ბათუმის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში.

ჩვენი გულითადი მეგობარი

ანა ანტონოვსკაიას გარდაცვალების გამო

ოთხმოცდაერთი წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი მწერალი ანა ანტონოვსკაია, ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მეგობარი და უანგარო მოყვარე. რაოდენ გულსაკლავია მისი, მართალია, ხანდაზმული, მაგრამ მაინც შეულევნელი სიცოცხლის ესოდენ მოულოდნელი აღსასრული! იგი ხომ კვლავ ახალგაზრდული ხალისით ემზადებოდა შეექმნა ისეთივე დიადი რომანი — ეპოპეა ერეკლე მეორის ცხოვრებიდან, როგორიც მისი ბრწყინვალე „დიდი მოურავია“. მაგრამ, ვაი, რომ არ დასცალდა!

რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: საქართველო ჩემი სამშობლოა, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და აქვე ვიგემე შეგნებული სიცოცხლის პირველი სიხარულიო.

და გულახდილად უნდა ითქვას, რომ პირნათლად, ღირსეულად მიაგო სამშობლოს ამ პირველი სიხარულისათვის.

იოლი ხომ არ იყო ისეთი ძნელსაცნობი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სათანადოდ გამოუკვლეველი, შეუსწავლელი ეპოქის მხატვრული გაცოცხლება, როგორიც მეთექვსმეტე საუკუნის ბოლო და მეჩვიდმეტის დამდეგია. რა უჯიათ შრომასა და გულმოდგინებას მოითხოვდა ჩვენი ხალხის იმდროინდელი ცხოვრების, მის წესჩვეულებათა და ზნეთა შესწავლა ისეთი უტყუარი სიზუსტით, როგორიც ხსენებულ რომანშია.

რა სიყვარულითა და სწორუპოვარი მხატვრული ოსტატობით არის დახატული პორტრეტი სახალხო გმირის, გიორგი საკაძისა, ვის ფარსაც, ავტორის სიტყვით, ეწერა: „ბედნიერია, ვისაც გული სამშობლოსათვის უძგერს“. და საკაძემ ხომ არა მარტო თავისი, სამშობლოსათვის აძგერებული გული, არა მარტო თავისი, როგორც გამოჩენილი მხედართმთავრის ნიჭი და სიცოცხლე, არამედ თავისი უფროსი ვაუიშვილების — პაატას და ავთანდილის სიცოცხლეც ზვარაკად მიიტანა სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობის სამსხვერპლოზე.

და განა მარტო საკაძის პორტრეტია ასეთი სიყვარულით გამოძერწილი? გადაჰხედეთ მისი თანამებრძოლების, ეგრეთწოდებული „ვეფხვების“ სახეებს: აი ცხოვრების სიბრძნით გამობრძმედილი გლეხი-ფილოსოფოსი პაპუნა ჩივაძე, ვინც გიორგის განუყრელი თანამგზავრია მის ძნელსავალ გზებზე; გულმართალი და სიტყვაძუნწი დაუთბეგ გოგორიშვილი, ვინც, ავტორის თქმით, „რალაცით ჰგავს გიორგი საკაძეს“. აი აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩინებულად გაწაფული დათო ქავთარაძე, ვისი სიტყვა-პასუხით განცვიფრებული არიან რუსთა მეფის დიპლომატები; აი ბავშვივით გულუბრყვილო, გარნა უმამაცესი მეომარი გივი, ვის შემართებას მტერიც კი წუნს ვერ დასდებს. ავთანდილ საკაძე, გიორგის მეორე ვაუიშვილი, პირწავარდნილი მამა, მას გვერდით რომ იბრძვის მუდამ იქ, სადაც მაგარი მკლავია საჭირო, და სხვები, რომლებიც ნამდვილი „ვეფხვების“ ჯიშისანი არიან.

ახლა ქალები? ჭეშმარიტი ქართველი დედები, მამაკაცებს რომ მხარში უდგანან, და მათს ჭირსა და ლხინს იზიარებენ: აი გოროზი ნუგზარ ერისთავის ქალიშვილი რუსუდანი, გიორგი საკაძის მეუღლე, მისი ერთგული მეგობარი და ჭკვიანი მრჩეველ-მესაიდუმლე; აი ბედგამწარებული თეკლე, ვინც, მათხოვრად გადაცმული, ყოველდღე, აისიდან დაისამდე გულის ფანცქალით შეჰყურებს ციხის სარკმელს, იქნებ როგორმე შორიდან მაინც მოჰკრას თვალი თავის ტყვექმნილ გვირგვინოსან მეუღლეს, აი დათო ქავთარაძის მეუღლე ხორეშანი, ვინც დედობრივი მზრუნველობით თავს ევლება უდედმამო „ვეფხვებს“...



მე აქ არ შევეხები რომანის სხვა მხარეებს, მაგალითად ბატალურ სცენებს, ან ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების პეიზაჟებს.

ბევრ გამოჩენილ სარდალს შეეხარებოდა ანას კალმით გამართული, ვთქვათ, სურამის თუ მარტყოფის ბრძოლა.

რომანი „დიდი მოურავი“ დიდი შენაძენია არა მარტო საბჭოთა მწერლობისათვის, ხოლო მისი ავტორის გარდაცვალება მისივე დიდი დანაკლისია.

არისტო ჭუმბაძე.

ქართველ მეცნიერთა სტუმრები

თბილისში სტუმრად იყვნენ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მეცნიერთა ჯგუფი: სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი შტეფან შვარცი, სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი დიონიზ ბლაშკოვიჩი, სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ემილ შპალდონი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იაროსლავ პლუგარჟი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთის განყოფილების უფროსი ვიქტორ იანატა, იუგოსლავიის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი გრგა ნოვაკი და აკადემიკოსი როზარია ჩულინოვიჩი.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი მიესალმა სტუმრებს და თქვა, რომ ქართველ მეცნიერთა მუშაობა ბევრად დაკავშირებულია კვლევასთან, რომელიც ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში წარმოებს. მან სტუმრებს გააცნო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა, ილაპარაკა მეცნიერულ კვლევაზე, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს.

სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა შტეფან შვარცმა და იუგოსლავიის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გრგა ნოვაკმა განაცხადეს, რომ დიდი სიხარულით ჩამოვიდნენ საქართველოში და იმედი აქვთ უფრო ახლოს გაიცნონ ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა შესახებ ბევრი რამ სმენიათ. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანია განამტკიცონ მეცნიერული და შემოქმედებითი კონტაქტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან.

ქართველ მეცნიერთა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, სადაც ნახეს დოკუმენტური ფილმები საქართველოზე.

სამი დღის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მეცნიერთა დელეგაციების წევრები ეცნობოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, იყვნენ მცხეთასა და გურჯაანში.

გამოსცემენ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ვისაუბრეთ:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.